Penal Reform International
South Caucasus Office
25 Kazbegi avenue (m2),
3rd entrance, 2nd floor, apt.262
Tbilisi 0160 Georgia
(+995 32) 237 0270
Email: tchanturia@penalreform.org
www.penalreform.org

Promoting fair and effective criminal justice

58/18

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

საერთაშორისო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმა" მიმდინარე წლის **24 ივლისს** აწყობს ღონისძიებას, რომელიც ეძღვნება პატიმრობაში მყოფი პირების, ყოფილი პატიმრებისა და პრობაციონერებისათვის რესოციალიზაციის/რეაბილიტაციის სერვისების კოორდინაციის საკითხების განხილვას შესაბამისი სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი თვითმმართველობების (მუნიციპალიტეტების), საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართულობით.

შეხვედრა იმართება ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტის ***„ქალი მსჯავრდებულებისთვის, რომელთაც განუცდიათ ძალადობა და დისკრიმინაცია, და მათი დაუცველი შვილებისთვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესება"*** ფარგლებში, რომლის მიზანია ოჯახში ძალადობის და დისკრიმინაციის მსხვერპლი ქალი მსჯავრდებულების გაძლიერება და ასევე მათი დაუცველი შვილების თანადგომა, მხარდაჭერის სერვისებზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობის საშუალებით.

პროექტის პარტნიორები არიან: ასოციაცია „ქალი და ბიზნესი"; „საქართველოს პროფესიონალ ფსიქოლოგთა ასოციაცია"; „კონსტიტუციის 42-ე მუხლი", „ასოციაცია თანაზიარი".

მრგვალი მაგიდა გაიმართება **2018 წლის 24 ივლისს, 10:30სთ-დან 18:00 სთ-მდე,** სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში".

პროექტის ფარგლებში აქტიურად ვთანამშრომლობთ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან.

გთხოვთ, აღნიშნულ ღონისძიებაში თქვენი უწყების შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მონაწილეობას, რომლებიც დამსწრე საზოგადოებას წარუდგენენ ინფორმაციას, ყოფილ პატიმართა და პრობაციონერთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის კუთხით არსებულ პოლიტიკასა და დახმარების პროგრამებზე (ჯანდაცვა, სოციალური დაცვა, დასაქმება).

შეხვედრაზე განხილული იქნება სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბენეფიციარებისთვის მიწოდებული სარეაბილიტაციო პროგრამების კოორდინაციის საკითხები, მოქმედი პროგრამების მდგრადობის საკითხები. რეგიონებში სამიზნე ჯგუფებისთვის სარებილიტაციო პროგრამების არეალის და ხელმისაწვდომობის გაფართოების მიზნით მოწვეული იქნებიან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან (მუნიციპალიტეტებიდან) შესაბამისი წარმომადგენლები.

ღონისძიების დღის წესრიგს და მონაწილეთა სიას მოგაწვდით მოგვიანებით, ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

წინასწარ დიდ მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისთვის!

პატივისცემით,

ცირა ჭანტურია

რეგიონული დირექტორი
„ციხის საერთაშორისო რეფორმა“ (PRI)
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი
ყაზბეგის გამზირი #25 (m2-ის შენობა), მე-3 სადარბაზო,
მე-2 სართული, ბინა 262, თბილისი, 0160
tchanuria@penalreform.org
(+995 32) 2 370 270